ხელშეკრულება № 21
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. რუსთავი 26 აპრილი 2014წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, რუსთავის №17 საჯარო სკოლას, წარმოდგენილი მისი დირექტორის გურანდა სირბილაძის (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს"ჯუმბერ ლეჟავას-სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტ გულნაზ ხარაიშვილი-სხირტლაძეს (შემდგომში "მიმწოდებელი")შორის.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ჟურნალ "ათინათის" მიწოდება წლის განმავლობაში 4 ნომერი (CPV- 22211100) 40 ლარი, ანთოლოგია (CPV- 22100000) 30 ლარი.
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. მისაწოდებელი საქონლის ჯამური ღირებულება წარმოადგენს 70 (სამოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

3.1. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
3.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
3.3. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
3.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
3.5. საქონლის მიღება - ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება "შემსყიდველისა" და "მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
4.2. "მიმწოდებელი" ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლი მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) "შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
– მიწოდებული საქონლის ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს "შემსყიდველის" მოთხოვნებს;
– წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებისას საქმის კურსში ჩააყენოს (წერილობით) "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
– ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" მიწოდებული საქონლის ღირებულება;
– რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს "მიმწოდებელს" წერილობითი ფორმით.
4.4. "შემსყიდველს" უფლება აქვს:
– განახორციელოს კონტროლი "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
– თუ "მიმწოდებელი" წუნის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ ასრულებს თავის ვალდებულებას "მიმწოდებლის" ხარჯზე განახორციელოს შესაბამისი სამუშაოები.
4.5. "მიმწოდებელს" უფლება აქვს მოთხოვოს "შემსყიდველის" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
4.6. "მიმწოდებელს" არა აქვს უფლება "შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5,2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01% -ის ოდენობით.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და "მიმწოდებლისათვის" ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

7.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა მოთხოვნით. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წერილობით ერთი თვით ადრე მაინც.

7.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დამრღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1. ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დასკვნითი დებულება

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან.

9.2. ამ ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ პირობით, თუ ის შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთ მიერ. ამ ხელშეკრულების დანართები მის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ.

9.3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს თანაბარი ძალა. ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

მ ხ ა რ ე თ ა რ ე კ ვ ი ზ ი ტ ე ბ ი:

" შემსყიდველი "	" მიმწოდებელი "
სსიპ №17 სკოლა	შ.პ.ს "ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემია"
გურამიშვილის ქ. №6	
ა/ა GE10LB0121154332232000 ბიკი LBRTGE22	ს/კ:TBCBGE22, ა/ა GE51TB7313336080100001
სს "ლიბერთი ბანკი" რუსთავის ფილიალი	სს" თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალი
დირექტორის მ/შ: გ.სირბილაძე	პრეზიდენტი: ბ.ხარაიშვილი-სხირტლაძე
ბ.ა.	ბ.ა.

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. რუსთავი 26.04.2014წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ რუსთავის №17 საჯარო სკოლის დირექტორი გურანდა სირბილაძე ("შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ შპს "ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტ გულნაზი ხარაიშვილი-სხირტლაძე" ("მიმწოდებელი"), ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ "მიმწოდებელმა" სკოლას გადასცა ჟურნალ "ათინათის" 4 ნომერი თანხით 40 (ორმოცი) ლარი და "ანთოლოგია" თანხით 30 (ოცდაათი) ლარი.

"შემსყიდველი":

"მიმწოდებელი":

კორექტირების თარიღი: 29/04/2014

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0112030596

2	26/04/2014

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	09:21:38

დრო (საათი, წუთი)

4	შპს ჯუმბერ ლეკავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია	404879431
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება.ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	საჯარო სამართლის იურიდიული პირი "ქალაქ რუსთავის #17 საჯარო სკოლა"	216317260
	მყიდველის (მიმღების) დასახელება.ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო სამუალების სახელმწიფო ნომერი

მისამგლი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ჟურნალი - ათინათი	10J	ცალი	4.0000	10.0000	40.0000
2	ანთოლოგია ტომი II	1234	ცალი	1.0000	30.0000	30.0000

13	70 - სამოცდაათი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

ყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	29/04/2014	08:24:23
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 30/04/2014, 09:54:24